პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 შაბათი 9 აპრილი № 83 (16820) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საიუბილეო წელს — სიმინდის უდიდესი მოსავალი

მიმართვა საქართველოს ყველა მხვნელ-მთესველს, მესიმინდეს, მექანიზატორს, სოფლის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXV კრებულობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებსა და გამოხვლებში ჩამოყალიბებულ მითითებებს, რის შედეგად ხუთწლედის პირველ წელს მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მათი გმირული შემართება სამშობლოს მადალი ჯილდოთი დაჯილდოვდნენ — რესპუბლიკას საკავშირო გადამავალი წითელი დროშა გადაეცა. ამ დიდ გამარჯვებაში ყველა ნშრომელთან ერთად თავანანთი წვლილი შეტანეს სოფლის მშრომელებმა — მხვნელ-მთესველებმა, რომლებმაც წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაზარდეს მარცვლეულის წარმოება და სახელმწიფოს 200.000 ტონა მარცვალი მიჰყიდეს.

მარცვლეულის უსვი მოსავლის მიღებათ თავი ისახელეს და სამშობლოს წინაშე ვალი პირნათლად მოიხადეს წითელწყაროს, სიღნაღის, გორის, აბაშის, ხობის, თელავის, მარნეულისა და სხვა რაიონების მშრომელებმა, მოწინავე მეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა, რომლებიც წელსაც წარმატებით შრომობენ, რათა კიდევ უფრო გაზარდონ მარცვლეულის წარმოება... მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ რაიონში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში მარცვლეულის წარმოებაში გადიდების ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი აქვთ, დაბალია მიწათმოქმედების კულტურა, საგრძნობლად დაბალია სიმინდის ჰექტარობრივი მოსავლიანობაც. გასულ წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე მხოლოდ 18,5 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიწეფ, რის შედეგად ჩამოვრჩით ყველა მოკავშირე რესპუბლიკას.

საქართველოში სიმინდი მარცვლეულის წარმოების მკვეთრი გადიდების ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო რეზერვია, რასაც ხელს უწყობს კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები და სიმინდის უხვი მოსავლის მიღების დიდი გამოცდილება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში აქვთ შეძენილი ქართველ მესიმინდეებს. ჯერ კიდევ ომის შემდგომ ხუთწლედებში სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანით თავი ისახელეს ცნობილმა მესიმინდეებმა: ჩოკოლი ქვაჩახიამ, სერგო რიგვავამ, კალისტრატე ანდღულაძემ, კოტე სანდუხაძემ, ზაქარია არჩევანიშვილმა, თემურ თარბამ და სხვებმა. მათ საშუალოდ ჰექტარზე 100-150 ცენტნერი და მეტი სიმინდის მარცვალი მოპოვებდათ, მაგრამ ამის მიუხედავად, სიმინდის წარმოების დონით რესპუბლიკა კავშირის მასშტაბით ბოლო ადგილზეა.

ვეტერანთა ტრადიციებზე აღიზარდა ბევრი მოწინავე მესიმინდე, რომლებიც დღეს წარმატებით შრომობენ და საუკეთესო შედეგებსაც აღწევენ. მარშან აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდემ ანაპოლისტო ხოშტარიამ ერთ ჰექტარზე 144,3 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიწია, ნინო კუპრეიშვილმა — 148 ცენტნერი, ხოლო ვიქტორ კუციამ — 129 ცენტნერი. ამავე რაიონის სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც გოგლა ჩოჩია ხელმძღვანელობს, 60 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 75 ცენტნერი მარცვალი მიიღო.

აბაშელ მესიმინდეთა თავდადებულმა და შემოქმედებითმა შრომამ, მატერიალური წახალისების პროგრესული მეთოდების დანერგვამ რაიონის მესიმინდეები მოწინავე პოზიციებზე გაიყვანა. აქ 1971 წელთან შედარებით სიმინდის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 27,5 ცენტნერით გაიზარდა და მარშან 39,3 ცენტნერი შეადგინა. ასევე დიდ წარმატებას მიაღწიეს ხობის რაიონის მესიმინდეებმა. სოფელ ჭალადიდის კოლმეურნეობის მოწინავე მესიმინდემ ნ. გელაშვილმა 2,5 ჰექტარზე საშუალოდ 67,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ახალი ხიბულის კოლმეურნეობის ბრიგადამ კი, რომელსაც გულიკო კიტია ხელმძღვანელობს, 12 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიწია, ხოლო ამავე კოლმეურნეობის მესიმინდემ აკაკი ღურწკაიამ — 111 ცენტნერი. მთლიანად ხობის რაიონში ეი საშუალოდ ჰექტარზე 30,5 ცენტნერი სიმინდის მარცვალია მიღებული. ნაყოფიერად იშრომეს აგრეთვე თელავის, გორის, ცხაკაიას, ზუგდიდის და ზოგიერთი სხვა რაიონების მესიმინდეებმა.

როგორც ზემოთ ეოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ჩვენს რესპუბლიკაში სიმინდის საკმაოდ უხვი მოსავლის მოყვანა შეიძლება. მაშ რატომ ჩამორჩება სიმინდის წარმოება? საქმე ის არის, რომ დაბალია მიწათმოქმედების კულტურა, უხეშად ირღვევა სიმინდის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებები, კერძოდ, შარშან რესპუბლიკაში აგროვადების დარღვევით დათესა მთელი ნათესი ფართობის 28 პროცენტი, პირველადი დამუშავება ვერ უზრუნველყვეს ნათესების 14 პროცენტზე, მეორე — 32 პროცენტზე. ამ ძვირფასი კულტურისადმი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად მთელ რიგ რაიონებში სამარცვლე სიმინდის ნათესი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოუვლელობის გამო სასილოსედ აიღეს, თითქოს სასილოსე სიმინდს მოვლა-პატრონობა არ სჭირდებოდეს. ამ მიზეზით კი რესპუბლიკამ სულ ცოტა 50 ათასი ტონა სიმინდის მარცვალი დაკარგა.

სიმინდის დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ ჯერ კიდევ არ ვიცავთ თესლის თესვის პროგრესულ ნორმებს, რის გამოც ნათესები მეჩხერია, არ არის მცენარეთა სრული ძირითადგომა. დაბალია სიმინდის მოსავლიანობა სარწყავ მიწებზე. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მინერალური და ადგილობრივი სასუქების, შხამქიმიკატების ეფექტიან გამოყენებას. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ზხირად გაუმართლებლად ეიანურდება მოსავლის აღება-დამბინავება. შარშან ზოგიერთ რაიონში სიმინდის მოსავლის აღება დეკემბრამდეც კი გაგრძელდა. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მექანიზაციას. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ არის შექმნილი კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადები, რგოლები, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება, მაღალია წარმოებული სიმინდის თვითღირებულება.

როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, მარცვლეულის წარმოების გადიდება კვლავ მთავარ ამოცანად რჩება. ამ ამოცანის გადაწყვეტას ეიეძღვნა კრასნოდარის მხარის ნშრომელთა თაოსნობა სასოფლო-სამეურნეო და, კერძოდ, მარცვლეული კულტურების უდიდესი მოსავლის მისაღებად. მთელ ქვეყანაში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება, ამ პატრიოტულ თაოსნობას საქართველოს სოფლის მშრომელებიც ერთსულოვნად გამოეხმაურნენ და გადაწყვიტეს მნიშვნელოვნად გაზარდონ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება.

ძვირფასო ამხანაგებო! მხვნელ-მთესველებო, სოფლის ყველა მშრომელო, უუბანელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად, მოგიწოდებთ კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეულის წარმოების დღემდე გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებისა და უდიდესი მოსავლების მიღებისათვის.

გაზაფხული ძალაში შევიდა, დადგა თესვისათვის საუკეთესო ვადები. მხვნელ-მთესველებო, ჩვენი ამოცანაა სიმინდის თესვა დავამთავროთ შემჯიდროებულ ვადებში, აგროვადებით გათვალისწინებულ 20 დღის განმავლობაში. მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ ნიადაგის თესვისწინა დამუშავება, ძირითადი განოყიერების მიზნით თესვის წინ სასუქი დოზით შევიტანოთ მინერალური სასუქები, დავთესოთ მხოლოდ დაუალბებული, პირველი კლასის თესლი, მკაცრად დავიცვათ თესვის ნორმები, რათა სამარცვლედ ნათეს ფართობებში თვითეულ ჰექტარზე არანაკლებ 45.000 ძირი მცენარე იყოს, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შევაქმნათ კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადები, რგოლები, დავაკომპლექტოთ ისინი მექანიზატორებით, მოვამზადოთ საჭირო რაოდენობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებთ.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სიმინდის ნათესების მოვლა-დამუშავებას, არც ერთი ჰექტარი არ დაგვრჩეს დაუმუშავებელი, ეფექტიანად გამოვიყენოთ სარწყავი წყალი, მინერალური სასუქები, ჰერბიციდები, შხამქიმიკატები. ამ სამუშაოთა საუკეთესო აგროვადებში, ხარისხიანად და ორგანიზებულად შესრულების მიზნით ყველა მეურნეობაში შემოვიღოთ გეგმა-ეროფიკი, დავაწესოთ მკაცრი კონტროლი, რათა ყველა სამუშაო გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში და ხარისხიანად სრულდებოდეს.

ჩვენი მიზანია სიმინდის წარმოება საერთო-სახალხო მნიშვნელობის საქმედ ვაქციოთ, აღვადგინოთ სიმინდის წარმოების დიდოსტატების გამოცდილება, ყველას კუთვნილება გავსადოთ მოწინავე მესიმინდეთა მიღწევები. მივაღწიოთ იმას, რომ მოწინავე მესიმინდის გვერდით არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი, არ გვქონდეს არც ერთი მცირემოსავლიანი ჰექტარი. სიმინდის მარცვლის და სასილოსე მასის წარმოების გადიდებისათვის გაშლილ ლაშქრობაში ჩავაბათ სოფლის ყველა მშრომელი.

ძვირფასო ამხანაგებო! რწმენას გამოთქვამთ, რომ რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები, მესიმინდეები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტები, მეცნიერები ყველფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოთ უუბანელთ მშრომელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, არ დავუშვათ სამარცვლე და სასილოსე სიმინდის ნათესი ფართობების შემცირება და უკვე საიუბილეო წელს სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ მიწებზე საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 40-50 ცენტნერი მარცვალი და 270-300 ცენტნერი მწვანე მასა, ხოლო ურწყავ მიწებზე 20-25 ცენტნერი მარცვალი. ეს იქნება ჩვენი შრომითი საჩუქარი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი, წინგადადგმული ნაბიჯი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების გზაზე.

ნინო აბუსერიძე — „საქსოფლტექნიკის“ აბაშის რაიონული გაერთიანების კომპლექსური მექანიზაციის რგოლის წევრი; **გიორგი ცერცვაძე** — „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული გაერთიანების ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი; **ელიზბარ კაკაბა** — გალის რაიონის სოფელ პირველი გალის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდე; **ხარიტონ ჯიშკარიანი** — ხობის რაიონის პირველი ხორგის საბჭოთა მეურნეობის ვეტერანი-მესიმინდე; **თეიმურაზ კერკატიშვილი, ოთარ კერკატიშვილი** — საკარეჯოს რაიონის ნინოწმინდის კოლმეურნეობის მექანიზაციის რგოლის წევრები; **სანდრო კვანტალიანი** — საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მარცვლეული კულტურების განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი; **ბაბარან გვინჩია** — ცხაკაიას რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანების ვეტერანი-მესიმინდე, სოციალისტური შრომის გმირი; **ანიკო ასანაშვილი** — ყვარლის რაიონის შილდის კოლმეურნეობის მესიმინდე; **ნ. მორგოშია** — ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიის მესიმინდე.

გზა, საუკუნეებს რომ უდრის

კანონიერი სიამაყის გრძნობით აღიქვეს საბჭოთა ადამიანებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომლებიც მან პარტიის XXV ყრილობაზე წარმოთქვა: დიდი ოქტომბრის შემდეგ განვლილ სამოც წელიწადში ჩვენმა ქვეყანამ განვლო გზა, რომელიც საუკუნეებს უდრის.

საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიულად მოკლე დროში შექმნა ახალი საზოგადოება, როგორიც არ ახსოვს კაცობრიობას. ეს არის საზოგადოება, რომელმაც არ იცის კრიზისები, აქვს მზარდი ეკონომიკა, სული სოციალისტური ურთიერთობანი, ეშმარიტი თავისუფლება.

„საბჭოთის 60 წლის ისტორიის, მილიონთა თავდადებული შრომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი გახდა განვითარებული სოციალიზმის აშენება, მას ახასიათებს საბჭოთა ხალხის — ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის მონოლითური სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ქვეყანაში დამკვიდრდა მანამდე არნახული საზოგადოებრივი ურთიერთობა — ეესპლოატაციისა და სხვა ჩაგვრისაგან თავისუფალ ადამიანთა თანამეგობრობა და ურთიერთდახმარება. ამ ურთიერთობაში ისახამს ხორცს ჩვენი საზოგადოების მოწინავე ძალის — მუშათა კლასის მისწრაფებები, მისი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, მისი შეხედულებები ადამიანის შემოქმედებითი მისიისა და მორალური საფუძვლების კეთილშობილების შესახებ. ყოველივე ეს, როგორც წყლის წვეთში მზე, ისე აისახება ბელორუსიის ქალაქ სოლიგორსკის შრომელთა ცხოვრებაში, რომელზეც გვესაუბრება დღეს „პრავდა“, — ნათქვამია მოწინავე წერილში „დიადი მიზნები, საერთო ინტერესები“.

და გაზეთიც გუშინდელ ნომერს თითქმის მთლიანად ბელორუსიის ამ ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქის, მისი სახელოვანი /მუშათა კლასის; თვითეული მშრომელის სისხლსავსე ცხოვრებას უძღვნის სერთო ანშლაგით „გზა, საუკუნეებს რომ უდრის“.

წერილებიდან „არის ქალაქი პოლუხინეში“, „მიწის მარილი“, „მონაწილეა თვითეული“, „ცხოვრებით შემოწმებული კავშირი“, „კარი ყველასათვის ღიაა“ და სხვ. მკითხველი შეიტყობს, რომ ქალაქ სოლიგორსკს ცხრამეტი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. იმ დირსსახსოვარ დღეს — 1958 წლის 10 აგვისტოს პოლესიეს ამ უდაბურ ადგილას, სოფელ ჩიკეევიჩის მახლობლად ათასობით მშენებელი და ახლომახლო სოფლების კოლმეურნენი შეიკრიბნენ, რომლებმაც მიტინგის შემდეგ თვითეულმა თითო ქვა ჩადო მომავალი ქალაქის პირველი სახლის საძირკველში. ასე ერთიანი ძალით, მთელი ქვეყანა აშენებდა მის წიაღისეეული სიმდიდრის — კალიუმის მარილის გამამდიდრებელ ფაბრიკებს, თანამედროვე შენობათა კვარტალებს, ამ სამუშაოებში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის მრავალი ხალხის წარმომადგენლები. ახლა აქ ცხოვრობენ და შრომობენ 33 ეროვნების ადამიანები.

დღეს სოლიგორსკის სახელი თბილისოდ არის ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც.

სოლიგორსკის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ მასალებს კომენტარს უკეთებს ეურნალ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი რ. კოსოლაპოვი წერილში „სოციალისტური ოპტიმიზმის საზოგადოება, სადაც იგი წერს: „სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის მთავარი ღირძი, ცენტრი, საზომი ადამიანია, რომელიც იზრდება როგორც შემოქმედებითი, სულიერად მდიდარი პიროვნება, ჰარმონიულად მრავალმხრივ ვითარდება. ეს არის სოციალიზმის ძირეული განმასხვავებელი ნიშანთვისება ყველა სხვა საზოგადოებრივი სისტემისაგან და მისი მთავარი უპირატესობა“.

გაზეთი წერს, რომ „პრავდის“ ერთ-ერთი მორიგი წინასამტკიცებრო სპეციალური ნომერი მიეძღვნება საბჭოთა ცხოვრების წესს და მიმართავს მკითხველს ფართო მონაწილეობა მიიღონ მის კოლექტიურ მომზადებაში, რედაქციას მიაწოდონ წერილები, კორესპონდენციები, ეს შეიძლება იყოს ფაქტები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ცხოვრების წესს, ფაქტები თქვენი ქალაქის, სოფლის, საწარმოს, დაწესებულების, სამხედრო ნაწილის, სასწავლებლის ბიოგრაფიიდან.

გაზეთის მეოთხე-მეხუთე გვერდები დათმობილი აქვს საერთაშორისო ცხოვრების ამსახველ მრავალფეროვან მასალას.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრესა თართო კომენტარს უძღვნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტროს ვიზიტს.

ამ ღირსსახსოვარ დღეს — 1958 წლის 10 აგვისტოს პოლესიეს ამ უდაბურ ადგილას, სოფელ ჩიკეევიჩის მახლობლად ათასობით მშენებელი და ახლომახლო სოფლების კოლმეურნენი შეიკრიბნენ, რომლებმაც მიტინგის შემდეგ თვითეულმა თითო ქვა ჩადო მომავალი ქალაქის პირველი სახლის საძირკველში. ასე ერთიანი ძალით, მთელი ქვეყანა აშენებდა მის წიაღისეეული სიმდიდრის — კალიუმის მარილის გამამდიდრებელ ფაბრიკებს, თანამედროვე შენობათა კვარტალებს, ამ სამუშაოებში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის მრავალი ხალხის წარმომადგენლები. ახლა აქ ცხოვრობენ და შრომობენ 33 ეროვნების ადამიანები.

დღესასწაულის აღსანიშნავად

8 აპრილს საბჭოთა არმიის ცენტრალურ აკადემიურ თეატრში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა და დედაქალაქის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ჯარების დღეს.

პრეზიდიუმში იყვნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი, არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები, საჰაერო თავდაცვის ჯარების მეტერანები.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ჯარების მბრძანებელი საბჭოთა კავშირის მარშალი პ. ფ. მატიცკი.

(საკდესი).

როგორ ემზადებით ამ დღისათვის?

პირადი ვალდებულებით

თბილისის „ელმავალმშენის“ საწარმოო გაერთიანებაში კომუნისტური შაბათობის დღეს თითქმის 100 ათასი მანეთის პროდუქციას დამზადებენ.

გაერთიანების მეტი წილი ქვეგანაყოფების კოლექტივებმა გადაწყვიტეს იმუშაონ დაზოგილი ნედლეულითა და ელექტროენერგიით, მშრომელების პირად ვალდებულებებში ამ დღისათვის შეტანილია როგორც მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების, ისე საამქროების კეთილმოწყობისა და საწარმოო ტერიტორიის გამწვანების ღონისძიებანი.

კონკრეტული გეგმით

ცხაკაია. (საკ. კორ.). პარტიის ცხაკაიას რაიკომმა შაბათობისათვის მზადების დამთავრებას გაფართოებული თათბირი მიუძღვნა. დამტკიცდა სამუშაოთა ჩატარების კონკრეტული გეგმა, რომელიც 16 აპრილს უნდა განხორციელდეს.

საგრძნობ თანხას შეიტანენ ხუთწლედის ფონდში სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ადგილობრივი ტრესტის მშენებლები, № 12 სამშენებლო კოლონის მუშა-მოსამსახურეები, რაიონის მრეწველობის ფლაგმანის — ხალიჩების კომბინატის, კომბინირებული საკვების და საკონსერვო ქარხნების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები.

დიდი მასშტაბის სამუშაოებია დაგეგმილი ქალაქის კეთილმოწყობად. ცხაკაიელთა წვლილი ხუთწლედის ფონდში 43.000 მანეთი იქნება.

საამქროებსა და ზვრებში

მცხეთა. (საკ. კორ.). რაიონის საწარმო-დაწესებულებებში ძირითადად დამთავრდა მზადება ლენინური შაბათობის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

ქარხანა „საქენერგორემონტის“ კოლექტივმა იკისრა ამ დღეს გამოიმუშავოს 7.500 მანეთის პროდუქცია და ხუთწლედის ფონდში გადაირიცხოს 2.400 მანეთი. მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ორასზე მეტი მუშაკი 1.050 მანეთს შემატებს ხუთწლედის ფონდს; მუზრანის საბჭოთა მეურნეობაში გადაწყვეტეს, რომ განსაკუთრებული მონდომებით იმუშაონ ზვრებში, ბოსტნებსა და ხეხილის ბაღებში, დაამუშაონ 10 ჰექტარი ვენახი, დაამზადონ 30 კვალსათბური, დაბარონ 15 ჰექტარი ხეხილის ბაღი.

შაბათობისათვის ნაყოფიერად ემზადებიან საკონსერვო ქარხნის, ძეგვის საშენ მასალათა კომბინატის, მცხეთის, გალავნის, ძალისის, ნატახტრის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები.

სურათზე: აეროდრომზე გაცილების დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მოსკოვიდან გაემგზავრა ფიდელ კასტრო რუსი

საკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეეთ საბჭოთა კავშირში არაოფიციალური მეგობრული ვიზიტით მყოფი კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო რუსი 8 აპრილს მოსკოვიდან გაემგზავრა. მასთან ერთად გაემგზავრნენ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს წევრი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. რ. როდრიგესი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ო. სიენფუეგოსი, ხ. ნარანხო, ხ. აბრანტესი, რ. ვალდეს ვივო.

კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ფ. კასტრო გაიცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ბ. პ. ბუგაევმა, კ. ვ. რუსაკოვმა, სკკპ ცენტრალური საერთაშორისო კომისიის წევრმა ა. ი. ბლატოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ გ. ხ. შახნაზაროვმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ს. აგირე დელ კრისტო, საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლენი. (საკდესი).

ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსის საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ

საკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეეთ 4-8 აპრილს საბჭოთა კავშირში არაოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო რუსი.

ვიზიტის დროს გულითადი მეგობრული შეხვედრები და საუბრები ჰქონდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ფიდელ კასტრო რუსს და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს წევრს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგილე კ. რ. როდრიგესს.

საუბრების დროს განიხილეს საბჭოთა კავშირისა და კუბის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების პერსპექტივები. მხარეებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-კუბის 1974 წლის 2 თებერვლის დეკლარაციის იდეების თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე მიმდინარეობს ორი ქვეყნის ურთიერთობის განმტკიცების პროცესი პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კიდევ უფრო განვითარონ ეს პროცესი ორივე სახელმწიფოს ხალხთა ინტერესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცების საკეთილდღეოდ.

ლ. ი. ბრეჟნევი ფ. კასტროს ესაუბრა საბჭოთა კავშირის „კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის აქტიური შემოქმედებითს საქმიანობაზე, რომელიც მიზნად ისახავს პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადაწყვეტას. განსაკუთრებით აღინიშნა შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ატმოსფერო, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღნიშნვისა „ყოველთა-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანება. აღინიშნა, რომ მეათე ხუთწლედის ამოცანების შესრულებისათვის პარტიისა და ხალხის მთელი მუშაობის ცენტრში დგას ბრძოლა წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

ფ. კასტრომ აღნიშნა, თუ რა წარმატებებს მიაღწია „კუბელმა ხალხმა „კუბის „კომპარტიის I ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა რეალიზაციაში. მან აღალაპარაკა მასების შრომითს ენთუზიაზმზე, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრების ზრდაზე. სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში წარმატებებთან და სოციალური პრობლემების გადაჭრასთან ერთად საგანგებოდ აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კუბის სოციალისტური დემოკრატიისა და სახელმწიფოებრიობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

საუბრების დროს განიხილეს აქტუალური საერთაშორისო პრობლემები. ფ. კასტრომ დაწერილებით ილაპარაკა აფრიკაში თავის ამასწინანდელ მოგზაურობაზე.

საბჭოთა კავშირმა მაღალი შეფასება მისცა კუბის რესპუბლიკის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას, ამასთან აღინიშნა, რომ ფართოვდება მისი ურთიერთობა ბევრ სახელმწიფოსთან, იზრდება მისი ავტორიტეტი მსოფლიოში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საერთაშორისო საქმეებში კუბის კურსი ნათლად მოწმობს, რომ იგი მშვიდობის საქმის, ხალხთა თანასუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმის ერთგულია.

კუბის მხარემ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ ესწრაფვიან ყოველივე ყოველნაირად შეუწყონ ხელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას. ამავე დროს გადაჭრით დაგმეს კაპიტალისტური ქვეყნების გარკვეული წრეების ცდები გაართულონ მშვიდობის განმტკიცებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის ამოცანათა გადაწყვეტა ხელოვნური მოთხოვნების წამოყენებით, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში თითქმის დაუფარავი ჩარევით.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ მხარს უჭერენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც ებრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იმ უფლებისათვის, რომ დამოუკიდებლად გადაეგადწყვიტონ თავიანთ ბედს.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ფ. კასტრომ განაცხადეს, რომ მათს პარტიებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმარონ სოციალისტური ქვეყნების ერთობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო კომუნისტ

მეათე ხუთწლედის
1977
ვეორეული

სოციალისტური შეჯიბრების დღიური

ფართო გზა სახელოვან შრომით თაოსნობას

შრომა, ნაკადული ბიბლიოთეკა

შეჯიბრების მასალა. შეუფერხებლად. ეფექტიანად. მაღალხარისხოვნად მუშაობა — ეს საუკეთესო საჩუქარი ოქტომბრის დიად იუბილეს!

საქართველოს მშრომელებმა მეოხეთადგილ ფმინდის არანელსაყოფილი პიროობებისა წარმატებით დაამთავრეს მეათე ხუთწლედის პირველი წელი. რესპუბლიკის მრეწველობაში წარმოების ზრდის ტემპმა 5,2 პროცენტი შეადგინა ვეგმით ათვალისწინებული 4,7 პროცენტის ნაცვლად. ბრიგადიერების ვამოშვების ხელოვნური პროგრამა შესრულდა 25 დეკემბრის. როგორც ვალდებულებით იყო დასახული, ვეგმის გადაჭარბებით ვამოშვებულია 141 მილიონ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია ნაცვლად ვალდებულებით ვათვალისწინებული 135 მილიონი მანეთისა, ხარისხისნიშნიანი ნაწარმის რაოდენობა 250-დან 400-მდე გაიზარდა, ხოლო ამ პროდუქციის ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში ვაორკეცდა.

საშინაბლო ორგანიზაციებმა ვამოჩენილის ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, დამატებითი საწარმოო სიმძლეავრეები, ადგილობრივ ნედეულებზე შეასრულეს საეხოვრებელი ბინების, სკოლების. საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების, პროფილაქტიკური სასწაულებლების შენობათა ჩაბარების საეგეგმო დავალებანი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის შრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის, ბოლის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ხორცის, რძის, კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დაეგეგმილი დავალებანი. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ეკონომიკურ ეფექტიანობა ამაღლდა. ეფექტიანობა ეფექტიანობა — ეს ეკონომიკური

მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების ფესტივალი

მზარდი ოსტატობა

ბრძოლდება სახალხო თეატრების ფესტივალის III ტურის... ბრაგალფეროვანი გამოდგა საკონკურსო რეპერტუარი. საინტერესო სპექტაკლებით წარდგნენ სახალხო თეატრები დედაქალაქის მაყურებელთა წინაშე. ეს სპექტაკლები თავისი თემატიკით, ხალხობრივი თვალსაზრისით მრავალპლანიანია. ამაღლდა მათი ოსტატობა, აშკარად იგრძნობა, რომ სცენისმოყვარეები გაუბრწყინ შტამპს, რუტინას, ეძებენ ახალ გამოსახველობით ხერხებს და საშუალებებს.

მაყურებელთა ინტერესს იწვევს ისიც, რომ ფესტივალში მონაწილეობენ როგორც ქართული, ისე რუსული და ოსური სახალხო თეატრალური კოლექტივები, რაც საბჭოთა ხალხების ეგობრობის ნათელი დადასტურებაა.

სამტრედიის სარაიონო კულტურის სახლის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“ (დადგმა ტ. ხაჟალიასი, მხატვარი გ. ფრანგიშვილი, მუსიკა შეარჩია ნ. რურუამ), ამავე ქალაქის რკინიგზელთა სახალხო თეატრმა კი მაყურებელს უჩვენა უზბეკი დრამატურგის შ. ბაიჯუვის „ღელსაწყალი ჩვენს სახლებში“ (დადგმა ბ. ტორონჯაძისა, მხატვარი ნ. უმანსკი, მუსიკა რ. ქებბიანისა), მაიაკოვსკის სარაიონო კულტურის სახლის სახალხო თეატრმა წარმოადგინა რ. მაჭელაშვილის „მერხებზე ანგელოზები სხედან“ (დადგმა გუგულაძისა, მხატვარი გ. ბერეჩიკიძე, მუსიკა ნ. გერაძისა). ხელოს სარაიონო კულტურის სახლმა მაყურებელს უჩვენა კ. კალანძის „ხატიჯე“ (დადგმა თ. თავართქილაძის, მხატვარი ფ. ინანიშვილი, მუსიკა თ. თავართქილაძის), სიღნაღის სარაიონო კულტურის სახლის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ს. შანშიაშვილის „ანზორი“ (დადგმა კ. მახარაშვილისა, მხატვარი ი. ხუციშვილი, მუსიკა მ. ჩირინაშვილისა), ბოლნისის სარაიონო კულტურის სახალხო თეატრი მაყურებლის წინაშე წარსდგა ვ. ანდელაკის პიესით — „თავმდომარე ლურჯა ცხენზე“ (დადგმა მ. გაბიძაშვილისა, მხატვარი მ. მალაზონია, მუსიკა მ. ჩირინაშვილისა), კვაისის მადნეულის გამგეობის კულტურის სახლის სახალხო თეატრმა აჩვენა ა. მეიოს და მ. ეხვევნის პიესა „ოჯახური აურზაური“ (დადგმა გ. ტაკაზოვისა, მხატვარი ლ. ცხოვრებოვი).

დათვალიერების შემდეგ დღეებში ჩოხატაურის სარაიონო კულტურის სახლის სახალხო თეატრი ა. ჩხაიძის „დაბრუნებით“ წარდგა მაყურებლის წინაშე (დადგმა ი. არობელიძისა, მხატვარი გ. სიხარულიძე, მუსიკა ბ. ბენდელიანისა), ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ აჩვენა საგარეჯოს სარაიონო კულტურის სახლის სახალხო თეატრმა (დადგმა თ. ფერაძისა, მხატვარი ი. ხუროშვილი, მუსიკა მ. ჩირინაშვილისა); ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სახლის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ა. ჩხაიძის „ოცა ქალაქს სძინავს“ (დადგმა ო. ჟორჟოლიანისა, მხატვარი ლ. ქემოლაძე, მუსიკა კ. ჟღენტის), შ. როყვას „დიპლომების მოყვარულნი“ აჩვენა ლანჩხუთის სარაიონო კულტურის სახლის სახალხო თეატრმა (დადგმა ა. ჯორბენაძისა, მხატვარი მ. კუნკულია), ხოლო ედუარდო დე-ფილიპოს პიესა „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი“ წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრმა (დადგმა ც. ნაკაშიძისა, მხატვარი თ. გომელაური, მუსიკა ო. ჭუმბურიძისა), თბილისის რკინიგზელთა სახალხო თეატრი ამჯერად დედაქალაქის მაყურებლის წინაშე წარსდგა ‘. შექსპირის „ოტელლოთი“ (დადგმა შ. კიკნაძის, მხატვრები ი. ასკურავა და ზ. ნოზაძე, მუსიკა შეარჩია რ. გვეიანმა), ცხაკაიას სარაიონო კულტურის სახლის სახალხო თეატრმა კი გ. ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის პიესა „კეცხოველი“ აჩვენა (რომლის დადგმა ეკუთვნის ო. ცერაძეს, მხატვრობა დ. ბარქაიას, მუსიკალური გაფორმება კი ლ. ჩიხლაძეს).

დათვალიერების ბოლო დღეებში თავიანთ სპექტაკლებს უჩვენებენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ქართული და ოსური სახალხო თეატრები, ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კულტსახლების ქართული და რუსული სახალხო თეატრები.

ა. დევიძე.

მეგობრობის სასაზღვრე—„საქართველოს“ მასპინძელი

მოსკოვი. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის სახლში გაიხსნა მხატვრული ფოტოგრაფიის გამოფენა **„საქართველოს მოტივები“.**

საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლის რესპუბლიკური ფოტოკლუბი „საქართველო“ 1968 წლიდან არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მოეწყო 30-ზე მეტი გამოფენა ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. „ქართულ ფოტოს ყარგად იცნობენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში. ფოტოკლუბი დაჯილდოებულია გაზეთების „პრავდის“, „კომსომოლსკაია პრავდის“, ჟურნალ „სოვეტსკე ფოტოს“, საერთაშორისო ფოტოჟურნალების სპეციალური პრემიებით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოკავშირე რესპუბლიკებიდან ფოტოკლუბ „საქართველოს“ წილად ხვდა დიდი პატივი მოსკოვში პირველს გაეხსნა გამოფენა „საქართველოს მოტივები“, რომელიც წელს მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების საკავშირო ფესტივალის პროგრამით არის გათვალისწინებული და დიდი ოქტომბრის 30-60 წლისთავს ეძღვნება. ფოტოკლუბის უცალელი ხელმძღვანელია ს. ყილაძე.

გამოფენა, რომლის ექსპოზიციაშია 50 ავტორის 150 ნამუშევარი, მეტად მრავალფეროვანია თავისი თემატიკით და ჟანრობრივად. გერნისაკენ გაზეთ „კომუნისტის“ მეთხელეებისათვის რამდენიმე მოკლე ინტერვიუ ჩავიწერეთ:

ს. მოროზოვი, ხელოვნებისმცოდნე, პროფესორი — დიდი ხანია ვიცნობ საქართველოს ფოტოხელოვნებას, მას ჩვენი ქვეყნის ფოტოხელოვნებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ვხედავ და მიხარია, რომ ნამუშევრებში უხვად მოჩქეფს საბჭოთა ხელოვნების მთავარი მიმართულება — მჭიდრო კავშირი ხალხთან, მეგობრობისა და ძმობის იდეა.

ვ. ჩუდაკოვი, ჟურნალ „სოვეტსკე ფოტოს“ პასუხისმგებელი მდივანი — თქვენმა გამოფენამ დიდი სიხარული მოგვიტანა. განსაკუთრებით გამოვყოფ ს. კილაძის, ჯ. ლომიძის, ა. საკოკის, ვ. მაჩაბლის, ბ. დათუაშვილის, მ. თათარიშვილის, ს. შანტურიას და ბ. კეკელიძის ნამუშევრებს. გულით გილოცავთ დიდ წარმატებას!

დ. მაპავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: გამოფენა „საქართველოს მოტივებს“ ექსპონატები: ს. კილაძის „სინანულ“; ვ. მაჩაბლის „ოჯახი“.

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს ამბები

საქართველო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო

საქართველოს სსრ კანონმდებლობა

საქართველოს სსრ სამართალი

საქართველოს სსრ ეკონომიკა

საქართველოს სსრ ფინანსები

საქართველოს სსრ ფინანსები

საქართველოს სსრ ფინანსები

მარადიული, როგორც მეგობრობა

ქართული პოეზიის საღამო მოსკოვში

ოქტომბანიშნავი ქართული მელოდიური ლექსები გაისმოდა ამ საღამოს მოსკოვის ერთ-ერთ საუკეთესო დარბაზში — ლიტერატორთა ცენტრალური სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში. მოსკოველი მწერლები და დედაქალაქის პოეზიის მოყვარულნი მოსინათლულიყვნენ მზიური საქართველოს პოეტებს. 7 აპრილს გაიმართა შემოქმედებითი საღამო დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული შეხვედრების ციკლიდან.

საღამო გახსნა ლენინური პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა კონსტანტინე სიმონოვმა. იგი გულთბილად მიესალმა სტუმრებს, აუდიტორიას გააცნო პოეზიდიუმში მყოფი რესპუბლიკის უხუცესი პოეტები გრიგოლ აბაშიძე და კარლო კალაძე, საშუალო და ახალგაზრდა თაობის პოეტები ხ. ტერულავა, ი. ნონეშვილი, ნ. ელასონია, მ. ფოცხიშვილი, ფ. ხალვაში, ტ. ჭანტურია, ბ. ხარანაული, ხ. გაგუა.

სცენაზე პირველი ავიდა ცნობილი პოეტი და მთარგმნელი არსენ ტარკოვსკი, რომელსაც კარგად იცნობენ საბჭოთა და უცხოელი ხელოვნების მოღვაწეები მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა პოეზიის თარგმანების გამო. მან დამწერე საზოგადოებას გააცნო ვაჟა ფშაველას ლექსების ახალი თარგმანები, გ. აბაშიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ი. ნონეშვილის ნაწარმოებები. მან ძვირფას სტუმარს კარლო კალაძეს მიულოცა დაბადების 70-ე წლისთავი, რუსი მეგობრების სახელით უსურვა დღეგრძელობა და ახალი ლექსები აჩუქა იუბილარს.

სიტყვაზე სიტყვაზე მოსკოველ მეგობრებს გულითადი მადლობა გადაუხადა კარლო კალაძემ. ჩვენ, საქართველოს პოეტები, განსაკუთრებით მადლიერნი ვართ თქვენი, ჩვენი რუსი ძმებისა, აღნიშნა მან, რადგან თქვენი თარგმანები მთელ მსოფლიოს აცნობს ჩვენს პოეზიას.

მთელ საღამოს გაისმოდა ქართულ და რუსულ ენებზე ლექსები, რომლებიც უმღერიან მშვენიერ საქართველოს, მის გმირულ ისტორიას, ბედნიერ დღევანდელ დღეს. აქვე დიდი პუშკინის ლექსები წაიკითხეს ქართულ ენაზე.

ეკვანი ეტეტუშენკომ თავის გამოსვლაში აღნიშნა უდიდესი როლი, რომელსაც მსოფლიო კულტურის განვითარებაში ასრულებს ქართული ხელოვნება — თეატრი და ლიტერატურა, ფერწერა და არქიტექტურა. მათ შორის, თქვა მან, განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის დიდ პოეზიას, რადგან იგი ქართული კულტურის ყველა ნაწარმოებში იგრძნობა.

პოეტმა ალექსანდრე მეფეიროვმა ილაპარაკა ქართულ პოეზიაში ერეკვნულისა და ზოგადსაკაცობრიო მოტივების ჰარმონიულ ერთიანობაზე, თქვა, რომ მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა ყოველთვის იცოდნენ და ახლაც კარგად ესმით, რომ მშობლიური მიწის, სამშობლოს საკეთილდღეო მოღვაწეობა ნიშნავს გულში ჩასწვდე ყველა ადამიანს, ყველა პატრიოტს.

ბ. აბაშიძემ საბოლოო სიტყვაში თქვა, რომ მოსკოველმა ლიტერატორებმა ქართული პოეზიის საღამოების მოწყობის შესანიშნავი ტრადიცია დაამკვიდრეს. ჩვენ კიდევ ბევრჯერ შეეხვდებით ერთმანეთს, რადგან პოეზია უსასრულო და მარადიულია. ისევე, როგორც ჩვენი ურყევი მეგობრობა!

ე. ხორავა,

(საკადესის კორ.).

საუკეთესო მთავლერალი

ლექსები ავტორი კითხულობდა. კითხულობდა შთამბეჭდავად, დასახსომებლად... და ის, რომ საღამო თითქმის სამ საათს გაგრძელდა და ხალხს კი მოსწყენია მაინც არ მოგეხვრებია, თავისთავად მეტყველებს ყველაფერს — საქები სიტყვები საქირო აღარ არის.

ნაზი კილასონიასთან შეხვედრა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა, გახსნა თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორმა გ. იაკაშვილმა. მასში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა და ახალგაზრდებმა.

— ადამიანი წიგნივით არის. თუ არ წაიკითხე, მისი არა გეცოდინება რა. წერილი კი ორი წიგნია; ერთი — თვითონ, მეორე — მისი გრძნობა-გონების ნაკეთი. პირველი კარგად უნდა გქონდეს წაკითხული, რომ მეორეს ჩასწვდე. ჩვენ დღეს შევეარებენთ, რათა ერთხელ კიდევ გადავშალოთ ორივე წიგნი და ვაღიაროთ ავტორის ნიჭიერება, — ითქვა შესავალ სიტყვაში. მეცნიერმა ფილოლოგებმა მ. გუგუშვილმა და ლ. ანდღულაძემაც გულთბილი სიტყვებით მოიხსენიეს პოეტის ლექსები. მაგრამ ყველაზე უკეთ ლექსებმა თვითონ შეიქნა თავი. და დარბაზმაც ერთხელ კიდევ აღიარა პოეტის ნიჭიერება.

იდგა ტრიბუნაზე ტანმორჩილი, მაგრამ დიდი გრძნობის დამტევი გულის ქალი, კითხულობდა თავისი სახელოვანი ნაწ, ლირიკულ ლექსებს, ადიდებდა ჩვენს სამშობლოს, სიცოცხლეს, სიყვარულს, სიხარულსა და ბედნიერებას...

დარბაზი კი მადლიერი თვალით შესცქეროდა სამშობლოს მომღერალს.

ალ. გეგაშვილი.

გაზაფხული საფუტკრეში

აპვავებული ხეხილის სურნელით გაჟღენთილა ჰაერი საფუტკრეებში. ამ დღეებში ბევრი საზრუნავი აქვთ მეფუტკრეებს, რომლებიც მორიგი „ტკბილი მოსავლის“ ასაღებად ემზადებიან.

150 სკა აქვთ საჩხერის რაიონის სოფელ ორღულის კოლმეურნეობის საფუტკრეში. გამოცდილი მეფუტკრე, ამ საქმის ნამდვილი ენთუზიასტი ზურაბ ნადირაძე თვითეულ სკაზე 30 კილოგრამი თაფლის მიღებას ვარაუდობს.

უახლოეს ხანში კოლმეურნეობაში სკების რაოდენობა გაორკეცდება.



სურათებზე: საჩხერის რაიონის სოფელ ორღულის კოლმეურნეობის საფუტკრე (ზეგით); კოლმეურნეობის მეფუტკრე ზურაბ ნადირაძე.

ა. მაჰავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კინოეკრანზე

მოსკოვში მიმდინარეობს საბჭოთა კინოხელოვნების ფესტივალი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება. უკვე მოეწყო ბელორუსიის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის და სომხეთის კინოსურათების ხეენება. ესტაფეტას აგრძელებს ჩვენი რესპუბლიკა. ერთი კვირის განმავლობაში კინოთეატრ „ილუზიონში“ ნაჩვენები იქნება ქართული ფილმები „პირველი ბერცალი“, „ელისო“, „გიორგობითვე“, „ფიროსმანი“, „ჯარიოკაცის მამა“, „ველრდა“, „არაჩვეულებრივი გაძოფენა“, „ხევსურული ბალადა“.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეორე ადგილზე

ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრმა გაიმარჯვა 1976 წლის ნაორე ნახევრისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტი პრეზიდიუმის დადგენილებით თეატრის კოლექტივს მეორე ადგილი მიენიჭა და გადაეცა საპატიო სიგელები. (საქინფორმი).

ისევ „მფრინავი თეფშების“ შესახებ

უკანასკნელ დროს გავრცელდა მცდარი წარმოდგენა ეგრეთ წოდებული „მფრინავი თეფშების“ შესახებ, რომლებიც თითქოს „დედამიწისგარე ცივილიზაციის საკომუნიკაციო საშუალება“ უნდა იყოს. რასაც ზოგჯერ ამის შესახებ მოგვითხრობენ, მისი აბსურდულობა აშკარაა. „მიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ამგვარი წარმოდგენები სწრაფად გაქრებოდა თავის თავად.

მაგრამ ხმა გავრცელდა და ახლა ამ ამბავს დაეინებით გვეკითხებიან სამეცნიერო-პოპულარული ლექციების დროს, მრავალ შეკითხვას იღებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, იწერებიან მოსწავლეები, მასწავლებლები, პროპაგანდისტები, თხოულობენ განმარტოთ საკითხი წერილობით ან გაზეთის საშუალებით.

არსებობს „მფრინავი თეფშები“, როგორც „გარეშე ცივილიზაციის საკომუნიკაციო საშუალება?“ არა, არ არსებობს! მაშ რა მიზეზის, რა მოვლენის გამო დაიყარა ასეთი ხმები?

დედამიწის ატმოსფეროში წარმოიშობა მრავალნაირი სტაციონარული ან სწრაფფლწარმავალი ოპტიკური მოვლენა, კერძოდ ისეთებიც, რომლებიც ატმოსფეროში გაშეებული აპარატებისა და ხელოვნური სხეულების გამო წარმოიშობა. ატმოსფეროს და ახლო კოსმოსური სივრცის ამტამად მიმდინარე კვლევა სულ უფრო ფართოვდება და ინტენსიური ხდება მრავალი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის, ბალონების, ზონდებისა და სხვათა გამოყენებით.

სავარაუდო ანგარიშით, 1976 წლის 1 იანვრისათვის დედამიწის გარშემო სამი ათასამდე ხელოვნური თანამგზავრი დაფრინავდა. ამავე დროს განუწყვეტლივ ხდება ახალ თანამგზავრთა გაშვება, ძველებისა კი ბუნებრივი წვა მათი ორბიტების თვისებებით შექმნილ მომენტებში, ე. ი. მაშინ, როცა ისინი ატმოსფეროს შედარებით მკვრივ ფენებში ჩამოდიან, გადახურდებიან, აალდებიან, ნაწევრდებიან და ამ ვითარებაში წარმოშობენ სანახავად უჩვეულო ოპტიკურ მოვლენებს. ასეთ დროს ისინი ემსგავსებიან ალმოკიდებულ ბირთვს, ამოლებულ სფეროს, ბრწყინვალე ბადროს, ზოგი თეფშების ილუზიასაც ჰქმნის და სხვ. მსგავსი ოპტიკური მოვლენების მიზეზია თანამგზავრების ერთგვარი ნარჩენებიც, როცა ისინი დაპროგრამირებულ მომენტებში მოსცილდებიან თანამგზავრებს, და, მეტადრე — რაკეტამატარებლები მას შემდეგ, რაც შეასრულებენ თავიანთ ფუნქციას: გაიყვანენ ორბიტაზე თანამგზავრს და ეშვებიან დაბლა. ასეთ მოვლენებს და მათთან ერთად მიწისზედა ბალონებსა და ზონდებს ხშირად ხდიან არა მარტო ობსერვატორიის მუშაკები, არამედ სხვა პროფესიების მოქალაქენიც, მოსახლეობა.

ზოგჯერ ერთსა და იმავე მოვლენას ერთდროულად ხედავენ სხვადასხვა ადგილიდან, თუმცა სხვადასხვა პირი განსხვავებულად აღწერს მას იმის მიხედვით, თუ მოვლენის რა მახასიათებელს მოუხდენია მასზე მეტი შთაბეჭდილება. ასე იყო, მაგალითად, 28 აგვისტოს საღამოს, როცა მოვლენას ერთდროულად ხედავდნენ ბორჯომიდან და ახალციხიდან, 18 ივნისს — ქუთაისიდან და ჭიათურიდან და სხვ.

თავის როლს ასრულებს ის, რომ საერთოდ გაიზარდა მოსახლეობის ინტერესი მეცნიერებისადმი, ბუნების მოვლენებისადმი, გაზშირდა თვალყური, დაკვირვება გარემოზე. ამასთან ერთად ხშირდება ჩამოთვლილი აპარატების გაშვებაც. ამიტომ ახლა უფრო ფართოდ მიიპყრო მოსახლეობის ყურადღება აღნიშნულმა ოპტიკურმა მოვლენებმა.

თავისთავად პროგრესულია ეს ყურადღება, არც ის წერილებია იტერესს მოკლებული, რომლებშიც აღწერენ უჩვეულო ოპტიკურ მოვლენებს, აღწერენ თვითონ მხილველები და არა სხვათა ნაამბობის გადმოცემენი.

ბოლოს ერთი შენიშვნაც. ამ წერილში მოცემული გახმარტება სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ დედამიწის ატმოსფეროში მოიპოვება სხვა მოვლენებიც, როგორც ოპტიკური, ისე სხვა ხასიათისა, რომელთა ფიზიკური არსი ჯერ გამოუცნობია. ზოგი მათგანი კოსმონავტებსაც შეუჭრიენიათ, ზოგის ბუნება მოკვლეულია, ზოგისა — ჯერ არა. **მაგრამ, ყველა ამათ არაფერი აქვთ საერთო უხეიროდ მოგონილ, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ „დედამიწისგარეშე ცივილიზაციის მიერ მოგზავნილ მფრინავ თეფშებთან“.** კოსმონავტიკა ხანის ამ ორი ათეული წლის განმავლობაში მრავალი ახალი, მანამდე სრულიად უცნობი მოვლენა აღმოჩენილი დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებში ან მათ გარეთ (მზის ქარი, მაგნიტოსფერო და სხვ). ამ მოვლენათა ბუნება და თვისებები შესწავლილია, რასაც უკვე დიდად გაუმდიდრებია ჩვენი ცოდნა და წარმოდგენები ნივთიერებაზე და სამყაროზე.

ეჭვი არ არის, რომ სხვა უთვალავი მოვლენაც აღმოჩნდება ახლო მომავალშიც თუ უფრო გვიანაც. რაც უფრო ღრმავდება მეცნიერული კვლევა, რაც უფრო მრავლდება და ძრავალფეროვნდება ბუნების დაკვირვებისა და შესწავლის საშუალებები, მით მეტ ახალ-ახალ მოვლენას აღმოაჩენს მკვლევარი ადამიანი და საბოლოოდ მიაკვლევს მათს ფიზიკურ, მატერიალურ არსს.

სწორედ ამას ადასტურებს საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების ისტორიის მთელი გამოცდილება.

ე. ხარაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი.

ოვალური გურთით

იუნიორები — ნახევარფინალში

ამოლანდიის ქალაქ სიუმში იუნიორთა ევროპის ველობაზე რეგბიში საბჭოთა ნაკრებმა, რომელიც პირველად მონაწილეობს ესოდენ დიდ ფეხბურთში დაამარცხა გფრ-ის გუნდი 17:6 და ნახევარფინალში გავიდა. ახლა ჩვენი რეგბისტები შეხვდებიან ამ გათამაშების ემბლეგზის გამარჯვებულს — სფრანგეთის ნაკრებს, რომელმაც სარეკორდო ანგარიშით 57:3 მოუგო ჰოლანდიის გუნდს. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან პორტუგალია და იტალია. ფინალური მატჩი გაიმართება 10 აპრილს.

ერთი საგზურისათვის

სსრ კავშირის მოზრდილთა ნაკრები ასპარეზობს ევროპის პირველობაზე „ბ“ ჯგუფში, რომლის გამარჯვებული უფლებას მოიპოვებს გადავიდეს უმაღლეს ლიგაში — „ა“ ჯგუფში. ჩვენს რეგბისტებს ჩასატარებელი დარჩათ ორი მატჩი: 17 აპრილს ჰანოვერში გფრ-ის ნაკრებთან და 30 აპრილს სოჭში — ჰოლანდიის გუნდთან. ახლა ტურნირს ლიდერობს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 6 ქულა, ჰოლანდიას აქვს 5 ქულა, ჩვენს გუნდს — 4 ქულა.

მოკლედ

ტანვარჯიში, აპროგბიკა. მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა სპორტსმენების საჩვენებელი გამოსვლები, რომელთა შორის იყვნენ ახმოვარჯიშეები ოლგა კორბუტი, ვიქტორ კლიმენკო, აკრობატები ალადიმერ ბარჩენკო და სერგეი ახტონოვი. საბჭოთა სპორტსმენების ვირტუოზი დიდი წარმატებით ჩაიარა.

ჩოკეი. სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრებთა მეორე მატჩი ჰელსინკში კვლავ ჩვენი ჰოკეიტების გამარჯვებით დამთავრდა — 4:0. ახლა საბჭოთა ნაკრები გაემგზავრება შვეიცარიაში, სადაც 9 და 10 აპრილს შეხვდება ბასპინელთა პირველ და მეორე ნაკრებს.

ბილიარდი. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა (ალექსანდრე ელიზაროვი, ალექსანდრე უშაკოვი, ნიკოლოზ კრუგლოვი და ალექსანდრე ტიხონოვი). გაიმარჯვა ჰელსინკში საერთაშორისო შეჯიბრებაზე ამანათრბენში 4X7,5 კილომეტრზე. მეორე ადგილზეა ნორვეგიის გუნდი, მესამეზე — ფინეთისა.

ფრენბურთი. ვოროშილოვგრადში ქვეყნის ჩემპიონატზე კვლავ წარმატებით თამაშობს გათამაშების ლიდერი მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდი. მორიგ შეხვედრაში მან ანგარიშით 3:2 მოუგო ადგილობრივ „ისკრას“.

წყალბურთი. დუშანბეში საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში თბილისის „დინამომ“ წააგო ტაშკენტის „ფეხნატთან“ — 6:7.

ხელბურთი. ბაქოს ფსტ-ის ქალთა გუნდმა დასავლეთ ბერლინში ევროპის ქვეყნების თასების ფლობელთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხა ადგილობრივი „ბუტმეტსნის“ კლუბი — 9:7 (2:5) და გათამაშების ფინალში გავიდა. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი ანარეთვე მოიგეს ბაქოელებმა — 20:12 (12:6).

ე. კალანდაძე



ე. კალანდაძე დაიბადა 1897 წელს ჩიხატაურის რაიონის სოფელ ხიდისფაფაში. 60 წლის წინათ იგი ხიბა რევოლუციურ მოძრაობაში და აქტიურად იბრძოდა რევოლუციის გამარჯვებისათვის. 1917 წელს ბერიის ბოლშევიკთა არალეგალური კომიტეტის მდივანი იყო. ძენშევიკურმა თეორიამ იგი დაატყვევა რევოლუციური საქმიანობისათვის და ჯერ ოზურგეთის ციხეში მოათავსა, ხოლო მემდგე — ქუთაისის და თბილისის ციხეებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან კომუნისტური პარტია მას პასუხსაგებ თანამდებობებზე გზავნიდა — იყო მეორე ქართული ლეგიონის სამხედრო კომისარი. მემდგე მუშაობდა სამოქალაქო ორგანიზაციებში: საქართველოს ქალთა ფედერაციის მმართველობის მოადგილედ; საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარედ; საერწმო კავშირის სამმართველოს უფროსად და სხვ. მან ყველგან ქეთილსინდისიერად შეასრულა თავისი მოვალეობა. დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

ძველი ბოლშევიკის, რევოლუციონერის, საზოგადო მოღვაწის ელიზბარ კალანდაძის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ეკონომიკა

ამ ორ დღეს საგრძნობლად აგრილდა. როგორც თიბილისის ამინდის იეროს სინოპტიკოსეობა გვაცნობეს, აგვილება შავი ზღვის მხრიდაა ცივი ჰაერის შემოსვლა გამოიწვია. „ა. პროცესი დასავლეთ საქართველოში 7 აპრილს დაიწყო, შემდგ 10 საათისათვია აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელდა, რამაც გამოიწვია ყვმეები, ტემპერატურის დაწევა. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონში, მაგალითად, ბაკურიანში, ბოგდანოვკაში, ჯვრის უღელტეხილზე თოვლიც მოვიდა, თოვდა აგრეთვე ლენინგორმიც.

გუშინ, 13 საათზე დასავლეთ საქართველოში წვიმები შეწყდა. დაბლობ რაიონებში 12-14, მთებში 6-9 გრადუსი აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოში 13 საათისათვია კახეთის ზოგიერთ რაიონში ისევ წვიმდა. მტკვრის ხეობაში წამში 15-20 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი ქროდა. დაბლობ რაიონებში 9-13, მთებში 4-6 გრადუსი სითბო იყო.

გუშინ, 13 საათზე თბილისში, ორსაფეხი წამში 25 მეტრი სიძლიერის ქარი ქროდა. თერმომეტრი ნულს ზემოთ 13 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი. რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 22-27 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოშიც მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 17-22 გრადუსი.

რედაქტორი

დ. მეიდლიშვილი.

ეკრანი

11 აპრილი

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „სკოლის დირექტორის დღიური“, 11.50 — „ცხოველთა საყაყაროში“ (ფერადი. მოსკოვიდან), 17.00 — „ცეროდენას ეკრანი“, 17.30 — „უთაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის“ — ბიოლოგია, 18.15 განცხადებები, 18.20 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 18.40 — „ვეტნიეი“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.00 — კინონარკვევი, 19.15 — „საგამოფენო დარბაზებში“ — ნ. ფიროსმანი (განმეორებით), 19.50 — „ეკიბრებიან რიაზანის ოქლნის მშრომელები“ (ფერადი. მოსკოვიდან), 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 21.20 — მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი. ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. დუშეთის რაიონის თვითმოქმედება (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „ლტოლვილი იანტარნაიადან“ (ფერადი), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.45 — კინონარკვევი „ყურადღება, წინ გაჩერებაა!“, 17.55 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 18.25 — განცხადებები, 18.30 — „საეს ტრადო პანორამა“, 19.00 — მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი. საქალაქო დასკვნითს ტურში გამარჯვებულთა კონცერტი (თბილისის ზონა). ტრანსლაცია პროფკავშირების სასახლიდან. შესვლებიან დროს — კინონარკვევი და პროგრამა, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „დღეს — კოსმონავტიკის დღეა“ (სტუდიაში — აკადემიკოსი ე. ხარაძე), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მთავარი კონსტრუქტორი“ I და II სერია (მოსკოვიდან).

13 აპრილი

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოველდღე და მთელი სიცოცხლე“, 11.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუ შევიყვარე“ (მოსკოვიდან), 12.15 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (ფერადი. მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.05 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 18.35 — განცხადებები, 18.40 — მოსწავლეთათვის — „ჩვენ სტუმრები“, 19.10 — „მეცნიერება — სახალხო მეურნეობას“, 19.35 — მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი. საქალაქო დასკვნითს ტურში გამარჯვებულთა კონცერტი (თბილისის ზონა). ტრანსლაცია პროფკავშირების სასახლიდან. შესვლებიან დროს — კინონარკვევი და პროგრამა, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ჩვენ ქვეყანა“ (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ეს ჩვენ ვართ“ (ფერადი. მოსკოვიდან), 22.30 — „ბალანჩივაძე“, 23.50 — ახალი ამბები.

12 აპრილი

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვალენტინა ტერეშკოვა“, 11.00 — VI კლასელთათვის — ფიზიკა, 11.30 — მხატვრული ფილმი „ლტოლვილი იანტარნაიადან“ (ფერადი), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.00 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „გადაცემა — „შეიცან თავი შენი“, 19.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „თუშური ხალიჩა“, 19.20 — „მშრომელი ქალი — მუდმივი ყურადღების ცენტრში“, 19.55 — „დინამაელი დაუსჯელად“ (ფერადი. მოსკოვიდან), 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — დოკუმენტური ფილმი „როდეზია: რასიზმისა და ტერორის ქვეყანა“ (ფერადი. მოსკოვიდან), 21.00 — „ესტრადა და თანამედროვეობა (განმეორებით), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — გადაცემა „ანდრია ბალანჩივაძე“, 23.50 — ახალი ამბები.

16 აპრილი

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იაგირზე მოსიარულე“ (ფერადი), 11.00 — „თქვენთვის, ძმობლებო!“ (ფერადი. მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა — „დილის ფოსტა“ (ფერადი. მოსკოვიდან), 12.00 — მხატვრული ფილმი „სეზონის დასურვა“ (ფერადი), 13.30 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 13.50 — კინონარკვევი, 14.00 — „შაბათობის დღიური“ (ფერადი .მოსკოვიდან), 14.10 — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის. დოკუმენტური ფილმი „ომამავლის გზა“ (ქართულ ენაზე), 15.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 15.50 — კონცერტი, 16.35 — „შაბათობის დღიური“ (ფერადი. მოსკოვიდან), 16.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (ფერადი. მოსკოვიდან), 17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.15 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი, 18.45 — მშობიარეთა თვითმოქმედი მხატვრული მემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი — „ეჭრის ანაამბელი „ბათუში“, 19.15 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ცსკა — „დინამო“ (თბილისი). ფერადი (ძოსკოვიდან), 20.45 — „თოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „წითელი შაბათობა“ (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „მოიტანეცეს თამარ-ქალი“, 23.50 — ახალი ამბები.

17 აპრილს

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — „ალვიძარა“ (ფეოადი. მოსკოვიდან), 11.00 — „შვეისწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — „ულტიპლიკაციური ანორაია“, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (ფერადი. ძოსკოვიდან), 13.30 — „კინოაფიშა“, 14.00 — „საჭადრაკო სკოლა“, 14.20 — „ოსწავლეთათვის — „ეოცონი“ — სატელევიზიო ჟურნალი, 15.00 — „კინოს მოყვარულთათვის“, 16.00 — „მუსიკის სამყაროში“ — სატელევიზიო მიმოხილვა, 16.45 — „ასწავლებელთა ყრილობის დელეგატები სტუდიაში, 17.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (ფერადი. მოსკოვიდან), 17.30 — გადაცემა „ქართული ფილმები ამერიკაში“, 18.00 — კინომოგზაურთა „კლუბი“ (ფერადი. მოსკოვიდან), 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — საესტრადო კონცერტი „თქვენი თხოვნით“, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „მრომის ზეიმი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.35 — „თეატრი და ცხოვრება“.

ტელევიზია

9 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — „ბუერატინოს გაიოფეხა“ (ფერადი. ხოსკოვიდან), 11.00 — „თქვენთვის, ძმობლებო“ (ფერადი. ოოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა, „დილის ფოსტა“ (ფერადი. მოსკოვიდან), 12.00 — კიინონარკვევი, 12.10 — შვეისწავლოთ ქართული ენა, 12.55 — ბავშვებისათვის — ფერადი მხატვრული ფილმი „ძვირფასი ბიჭუნა“, 14.10 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულაოული პროგრამა (ფერადი. ძოსკოვიდან), 14.40 — მულტიპლიკაციური ფილმები, 15.10 — „მეცნიერება — წარმოებისა“, 15.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის (ფერადი), 16.35 — „საზოგადოებრივი აზრი და მართლმეგზავრ“, 17.10 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, 18.00 — „ცხოველთა სამყაროში“ (ფერადი. მოსკოვიდან), 19.00 — სატელევიზიო ფერადი დოკუმენტური ფილმი „ყარყატი“, 19.10 — „დიალოგი მწერალთან“ — სტუდიაში ვ. ჭელიძე და გ. ასათიანი (ფერადი), 19.55 — მეცხრე სტუდია (ფერადი. მოსკოვიდან), 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — მუსიკალური ოჯახები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „კინოლექტორიუმი“, 23.35 — „საზღვარგარეთის ესტრადის რიტმები“ (ფერადი. მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის გასართობი კინოპროგრამა, 19.05 — მხატვრული ფილმი „ზანარ ბერკუტი“ (ფერადი), 20.40 — დოკუმენტური ფილმი „გამარჯვების მემკვიდრენი“, 21.35 — კოსეერტი.

ოდესა

10 აპრილი

პირველი პროგრამით

09.15 — რუსბუმლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოცემება, 10.00 — ცენტოალური გაზეთების ფურცლებზე (ოოსკოვიდან), 14.45 — „პოეტი მიკოოფოდთან“ — ა. გომიაშვილი, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“. ამიერკავკასიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების რადიომსმენელთათვის, 15.30 — „დიდება და პატარება“, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრეთისათვის, 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „ზელის ნუკრის ნაამბობი“, 18.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — საერთაშორისო მიმოხილველნი „მრგვალ მაგიდასთან“ (მოსკოვიდან), 19.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 20.30 — რ. ჩაჩანიძე. „სიმღერა ოქროსფერ მტრედებზე“. რადიოდადგმა, 21.34 — „ძოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მუსიკალური კულტურა“ — მუსიკალური უკრაინა.

მეორე პროგრამით

9 აპრილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ლონ პასაუალე**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო